საქმე №3105-2024 **31 მაისი, 2024 წელი**

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ სააპელაციო კომისიის
გადაწყვეტილება

კომისიის თავმჯდომარე - რევაზ ბერიძე
კომისიის წევრები - სალომე გულუა, ირაკლი კუჭავა, ბერდია ახალბედაშვილი, ანა გვასალია
საჩივრის ავტორი - ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რუსთავი“ (შემდგომში „მოთამაშე“)
მოწინააღმდეგე მხარე - ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ (შემდგომში - „სრკ“) სადისციპლინო კომისია (შემდგომში - „სადისციპლინო კომისია“)
გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2023 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე რაგბის კლუბი ქუთაისის „ბაგრატი“ დაჯარიმდა და სრკ-ს მეთვალყურე მამუკა ჯანაშიას შეუჩერდა სტატუსი 2024 წლის 1 ნოემბრამდე;

აღწერილობითი ნაწილი

ფაქტობრივი გარემოებები:

1. 2024 წლის 31 მაისს საქართველოს რაგბის კავშირის სააპელაციო კომისიის ელ. ფოსტაზე appeals@rugby.ge შემოვიდა რაგბის კლუბი „რუსთავის“ სააპელაციო საჩივარი [შემდგომში „კლუბი“];
2. სააპელაციო კომისია უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს:
   2.1. 2024 წლის 28 მაისს I ლიგაში ასვლის/დარჩენის პლეიოფის შეჯიბრზე მონაწილეობას იღებდნენ კლუბის მოთამაშეები, რომელთაც არ ჰქონდათ სრკ-ს მიერ გაცემული ლიცენზიები [6 მოთამაშე, 2 ძირითადი შემადგენლობიდან და 4 სათადარიგო], ხოლო ზოგიერთ მოთამაშეს არ ჰქონდა სალიცენზიო ბარათებზე ფოტოსურათები;
   2.2. მატჩის კომისარმა მიუხედავად მოთამაშეთა ლიცენზიების არ არსებობისა, მიიჩნია რომ მატჩის ჩატარება არ უნდა შეფერხებულიყო და თამაშის დაწყების უფლება გასცა.
   2.3. მატჩის ოფიციალურად დაწყებიდან პირველივე წუთზე კომისარმა თამაში გააჩერა და მსაჯს უთხრა რომ 6 მოთამაშეს [2 ძირითადი შემადგენლობიდან და 4 სათადარიგო] არ ჰქონდა სრკ-ს მიერ გაცემული ლიცენზიები;
   2.4. მსაჯმა ძირითად შემადგენლობაში მოთამაშე ლიცენზიის არ მქონე ორი მოთამაშე ბაქარ მხეიძე და გიორგი ჩიტორელიძე გაუშვა სტადიონიდან. რამდენიმე წუთში მოთამაშეები დააბრუნეს სტადიონზე და მისცეს თამაშის უფლება, რადგან მატჩის კომისარმა განუმარტა მსაჯს, რომ მათ წარმოადგინეს სრკ-ის ბეჭდით დამოწმებული მოთამაშეთა ლიცენზიები;
   2.5. კლუბმა ლიცენზიები წარადგინა სრკ-ს გაუქმებული ბეჭდით დამოწმებული, რაზეც კლუბის წარმომადგენელმა განმარტა რომ შეცდომით გამოიყენა სრკ-ს ძველი გაუქმებული ბეჭედი და

მას სურდა კლუბის ბეჭდის გამოყენება. ხოლო მატჩის კომისრის განმარტებით, ის შეცდომაში შეიყვანა კლუბის წარმომადგენელმა და შემდგომ გადამოწმებისას გაარკვია, რომ ლიცენზიაზე არ იყო გამოყენებული რაგბის კავშირის ბეჭედი და მოთამაშეებს არ ჰქონდათ მწყობრში ლიცენზიები.

სამოტივაციო ნაწილი

1. საჩივრის დეტალური შესწავლისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტით გამოყენებული სანქცია დარღვევის აპროპორციულია, რადგან სანქცია გამოყენებული უნდა იყოს იმ ფორმით (სრულყოფილად), რასაც ითვალისწინებს სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია;
2. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება ორაზროვანია, ერთი მხრივ ადგენს, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ხოლო მეორე მხრივ იყენებს სანქციას კლუბის მიმართ, რაც წარმოშობს ბუნდოვანებას. სააპელაციო კომისია ვერ გაიზიარებს სადისციპლინო კომისიის განმარტებას, რომ ლიცენზირების ვალდებულება არის მხოლოდ „პრაქტიკაში მიღებული“ წესი და არ არსებობს ლიცენზირების ვალდებულების შესახებ რაიმე ჩანაწერი.
   საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.rugby.ge განთავსებულია რეგულაციები, მათ შორის 2023-2024 წლის სეზონის ზოგადი საშეჯიბრო დებულება [შემდგომში „დებულება“]. დებულების მე-4 პუნქტი ადგენს მოთამაშეთა ლიცენზირების ზოგად ვალდებულებას. დებულების 4.1. პუნქტი იმპერატიული ხასიათისაა, რომლის შესაბამისად „სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე ყველა მოთამაშე, რომელიც შეყვანილია კლუბის (გუნდის) მიერ საშეჯიბრო განაცხადში ექვემდებარება ლიცენზირებას“. ხოლო ამავე მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად „მოთამაშეთა ლიცენზირება დაშვებულია მხოლოდ სრკ-ს მიერ დადგენილი წესით მოთამაშეთა რეგისტრაციის შემდეგ“. იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზირების განცალკევებული/სპეციალური წესი ვერ იქნა მოძიებული სრკ-ში, სადისციპლინო კომისია, ვალდებულია იხელმძღვანელოს დებულებაში არსებული ლიცენზირების ზოგადი წესებით, რომელიც თავის მხრივ არეგულირებს სალიცენზიო საკითხებს.
   თვალსაჩინოებისთვის, დებულების 4.1.1. პუნქტი ადგენს, რომ კაცთა ლიგის კლუბისთვის სალიცენზიო მოსაკრებელი შეადგენს 15 ლარს ერთ მოთამაშეზე. შესაბამისად, ვერ ვიტყვით რომ ლიცენზირების ინსტიტუტი მხოლოდ „პრაქტიკაში მიღებული“ წესია, როგორც სადისციპლინო კომისია განმარტავს. ლიცენზირების ვალდებულება დადგენილი წესია და უდავოა, რომ ლიცენზირებას ახდენს საქართველოს რაგბის კავშირი და არა რომელიმე კლუბი. კლუბი არ არის უფლებამოსილი გსაცეს ლიცენზია ან/და დაარტყას მასზე კლუბის ბეჭედი [როგორც კლუბის მენეჯერმა აღნიშნა სადისციპლინო სხდომაზე] ან/და სრკ-ს არ არსებული ბეჭედი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არა ლიცენზირების ვალდებულება იმ ფორმით რა ფორმითაც დღეს არსებობს სარაგბო სამყაროში [ლიცენზირების ბარათი+ფოტო+სრკ-ს ბეჭედი], კლუბის წარმომადგენელი არ გამოიყენებდა სრკ-ს გაუქმებულ ბეჭედს.
   დებულება ასევე ითვალისწინებს ლიცენზიების წარდგენის ვალდებულებას, კერძოდ დებულების 5.8 პუნქტის შესაბამისად, „მოასპარეზე გუნდის უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან მატჩის დაწყების წინ 30 წუთით ადრე ჩააბარონ მატჩის მეთვალყურეს გარკვევით შევსებული მატჩის განაცხადი მაქსიმუმ 23 მოთამაშეზე (ძირითადი და სათადარიგო) ლიცენზიებთან ერთად, სადაც პირველი ხაზის სათადარიგო მოთამაშეები უნდა იყოს გამოყოფილი სათამაშო პოზიციების მითითებით.“ ხსენებული ნორმები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ლიცენზირების წესები ქართული რაგბის სამყაროში განზოგადებული ფორმით ნამდვილად არსებობს და მას ვერ დავარქმევთ „პრაქტიკაში მიღებულ წესს“.
3. უდავოა, რომ საკმაოდ მძიმე და უხეში დისციპლინარული გადაცდომა მოხდა მატჩზე, რაც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის, ასევე დებულების უხეში დარღვევაა. კლუბის მხრიდან სადისციპლინო დარღვევა უნდა დაკვალიფიცირდეს და განისაზღვროს პროპორციული სანქციით. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეაფასოს დაკისრებული სახდელის რელევანტურობა და მისი გავლენა სამომავლოდ კლუბის ბედზე, სანქცია უნდა ატარებდეს ქმედების პრევენციის ფუნქციას. ამასთან, არ უნდა იყოს სადისციპლინო რეგულაციით გათვალისწინებულ სანქციაზე მეტი ან ნაკლები. კომისია მიიჩნევს, რომ არსებითია

სპორტსმენებს ჰქონდეთ გააზრებული, რომ ისინი არიან კლუბის წევრები და კლუბის ან/და მოთამაშის ნებისმიერი ქმედება, შესაძლოა გახდეს ზიანის მომტანი მთელი კლუბისთვის, მისი თანაგუდნელისთვის და ის, რომ სარაგბო დისციპლინა არის ერთ-ერთი უმნიშვნბელოვანესი პირობა, რაგბის სამართლიანად სათამაშოდ.

4. სადისციპლინო კომისიის მითითება, რომ მან ვერ დაადგინა კლუბ „ბაგრატი“-ს მხრიდან ისეთი სიმძიმის დარღვევა, როგორიცაა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-ით განმარტებული არარეგისტრირებული მოთამაშის მონაწილეობა თამაშში, არასწორია და უპირატესად წარმოადგენს ტერმინთა აღრევას. კერძოდ, დანართი #3 ითვალისწინებს „თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის მონაწილეობას თამაშში“ ტერმინს და ის არ განმარტავს კონკრეტულად „არა რეგისტრირებული მოთამაშის“ საკითხს. შეიძლება სადისციპლინო კომისიამ დაადგინა, რომ მოთამაშეები რეგისტრირებული იყვნენ, მაგრამ არ იმსჯელა რეგისტრაციის იმ განუყოფელ ნაწილზე, რომელსაც ლიცენზირება ჰქვია. დანართი #3-ის პარაგრაფი „პლეიოფები“ ადგენს სადისციპლინო პასუხისმგებლობას თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის თამაშში მონაწილეობის შემთხვევაში და განმარტავს, რომ „თამაშის უფლების არ მქონედ ითვლება მოთამაშე რომელსაც, სრკ-ს, მსოფლიო რაგბის, რაგბი ევროპის რეგულაციების/დებულებების/გადაწყვეტილებების მიხედვით არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღოს სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის მატჩში“. სააპელაციო კომისიამ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ კლუბის მხრიდან უხეშად არის დარღვეული დებულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სალიცენზიო მოთხოვნები, რაც სრულად აკმაყოფილებს სადისციპლინო დებულების #3 დანართით გათვალისწინებულ დარღვევას. ამავე დოკუმენტის 2.1. პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი კი, დარღვევისთვის ადგენს შემდეგი სახის სანქციებს კუმულატიურად (მოქმედებს ერთდროულად განცალკევების გარეშე):

I ლიგაში მოასპარეზე გუნდი ჯარიმდება 1,000 (ათასი) ლარით, ასევე დამრღვევ გუნდს ჩაეთვლება წაგება იმ თამაშში რომელშიც მონაწილეობა მიიღო თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშემ, დააკლდება 5 საცხრილო ქულა და მომდევნო სათამაშო სეზონს დაიწყებს დაკლებული ქულების შესაბამისი უარყოფითი საცხრილო ქულათა ბალანსით. მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება მოგება.

იმის გათვალისწინებით, რომ დარღვევა ცალსახა და აშკარაა, სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ გამოყენებული უნდა იყოს დარღვევის შესაბამისი სანქცია, რასაც ითვალისწინებს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3.

5. კომისია ასევე მართებულად მიიჩნევს კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება რაგბის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობასა და პრინციპებზე. რაგბი ღირსეული ადამიანების სპორტად მიიჩნევა და მის ფუნდამენტალურ ფასეულობას წარმოადგენს პატივისცემა თანაგუნდელების, მოწინააღმდეგე მოთამაშეების, მატჩის ოფიციალური პირებისა და მაყურებლის მიმართ, რაც მეტად განასხვავებს რაგბს სპორტის სხვა სახეობებისგან. თამაშის მეთვალყურის მოტყუება/შეცდომაში შეყვანა და ცრუ დოკუმენტების წარდგენა წარმოადგენს არა მხოლოდ სადისციპლინო წესების დარღვევას, არამედ ოფიციალური პირების შეურაცხყოფას. მატჩის ოფიციალური პირები წარმოადგენენ რაგბის თამაშის განმსაზღვრელ და განუყოფელ ელემენტს, რომლის გარეშეც თამაში ფაქტობრივად შეუძლებელია, მათ თითოეულ გადაწყვეტილებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს თამაშის მიმდინარეობა და შედეგი. თამაშის სწორად და სამართლიანად გამართვის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თამაშის ნებისმიერი მონაწილისგან, მათ შორის კლუბის მენეჯერების და მოთამაშეების მხრიდან გამოხატული იყოს პატივისცემა თამაშის ოფიციალური პირების მიმართ.

6. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ საჩივრის ფარგლებში და სააპელაციო საპროცესო წესების შესაბამისად კომისია მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს და იმსჯელოს:

6.1. თუ რატომ არ იქნა სადისციპლინო კომისიის მიერ გამოყენებულ ბეჭედთან დაკავშირებით მოკვლეული საკითხები, რატომ აქვს და იყენებს კლუბი სრკ-ს ძველ ბეჭედს, რატომ არ აუკრძალა გადაწყვეტილებით კლუბს ბეჭდის გამოყენება, სულ მცირე იმ მოტივით, რომ სამომავლოდ თავიდან იყოს აცილებული სხვა დარღვევები ან/და დოკუმენტების „გაყალბება“;

6.2. სრკ-ს მსაჯის მეთვალყურის მიმართ გამოყენებული სანქციის პროპორციულობის/რელევანტურობის საკითხზე, ასევე მეთვალყურის ქმედებებზე. თუმცა

სააპელაციო კომისიას მიაჩნია, რომ უნდა ჩატარდეს აქტიური სამუშაოები, რომ ოფიციალურმა პირებმა მეტი პასუხისმგებლობით განახორციელონ დაკისრებული მოვალეობები.

7. კლუბს, მის ხელმძღვანელებს/მეჯერებს უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რომ ეს არ არის ინდივიდუალური მორაგბეების დასჯა, სანქცია არის კლუბის წევრთა ქმედებების შედეგი, რომელიც გამოხატულია სადისციპლინო შეზღუდვით. ის არის პრევენციის ზომა, რათა თავიდან იქნეს არიდებული მსგავსი უხეში სადისციპლინო გადაცდომები. კომისია იმედოვნებს, რომ კლუბის მხრიდან აუცილებლად სწორად იქნება ინტერპრეტირებული გადაწყვეტილებები და შესაბამისად განხორციელებული კომუნიკაცია სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებაში, მკაფიოდ იქნება განმარტებული, რომ ეს არის მომხდარ ფაქტზე/დარღვევებზე რელევანტური, პროპორციული და გონივრული რეაგირება, რაგბში არსებული მკაცრი დისციპლინისა და გუნდურობის გათვალისწინებით. ეს არ არის მხოლოდ თამაში, ეს არის სპორტი თავისი დისციპლინითა და წესებით.
8. სააპელაციო კომისია მსჯელობს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც მიაჩნია რომ სადისციპლინო კომისიის მიერ არ იქნა სწორად ნამსჯელი/მიღებული.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო კომისიამ სრული შემადგენლობით გადაწყვიტა:

1. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს და ნაწილობრივ შეიცვალოს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2024 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც რაგბის კლუბი „ბაგრატი“ დაჯარიმდა 1,000 ლარით;
2. ქუთაისის „ბაგრატი“-ს როგორც I ლიგაში მოასპარეზე გუნდს დაეკისროს დარღვევისთვის სრკს-ს სადისციპლინო რეგულაციის #3 დანართის 2.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 1,000 (ათასი) ლარი ჯარიმა, ასევე წაგებად ჩაეთვალოს ის თამაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშემ, დააკლდეეს 5 საცხრილო ქულა და მომდევნო სათამაშო სეზონი დაიწყოს დაკლებული ქულების შესაბამისი უარყოფითი საცხრილო ბალანსით;
3. გადაწყვეტილების სხვა ნაწილები დარჩეს უცვლელი;
4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
5. სააპელაციო კომისიის დებულების შესაბამისად, გადახდილი სადეპოზიტო თანხა არ ექვემდებარება შემცირებას/დაბრუნებას.